სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

NEWSLETTER 2016

- კომპლექსური რეფორმები
- ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცვლილებები
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება
- სახელმწიფო შესყიდვების რეგულაციების ცვლილებები
- ახალი ელექტრონული სერვისები
- სპეციალისტების პროფესიონალიზაცია
- ანალიტიკა და კვლევები

www.procurement.gov.ge

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

www.procurement.gov.ge

E NEWSLETTER 2016

წლიური ანგარიში

2016 წელს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განხორციელებული რეფორმები: ეფექტიანად, სამართლიანად და გამჭვირვალე დახარჯული საჯარო სახსრები

2016 წელს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დახარჯულია **4 მილიარდ ლარზე** მეტი

სახელმწიფო შესყიდვები - ქვეყნის **ბიუჯეტის 39%** და **GDP-ის 12%** შეადგენს

2016 წელს ჩატარდა **38 ათასზე მეტი ღია ელექტრონული ტენდერი**

ელექტრონული ტენდერების ჩატარების შედეგად, ჯამურმა **ეკონომიამ** შეადგინა **ერთ მილიარდ ლარზე** მეტი. მხოლოდ 2016 წელს **დაიზოგა 280 მილიონ ლარამდე**

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობენ **4461 შემსყიდველი** (საბიუჯეტო) და **31724 მიმწოდებელი** (ბიზნეს) ორგანიზაცია

2016 წელს **6%-ით გაიზარდა** ბიზნეს კომპანიების საშუალო მონაწილეობა სახელმწიფო ტენდერებში

მსოფლიო ბანკმა უკვე ჩაატარა **165 ტენდერი, 160 მილიონი ლარის** საერთო ღირებულებით ქართული ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რის შედეგად მიღებულია **15 მილიონი ლარის ეკონომია**

2016 წელს სახელმწიფო შესყიდვების სფეროს ძირითადი მონაცემები და მაჩვენებლები

2017 წლის 14 მარტის მდგომარეობით სისტემაში რეგისტრირებული **მიმწოდებლების რაოდენობა წარმოადგენს 31,724-ს**, ხოლო **შემსყიდველი ორგანიზაციების რაოდენობა კი 4,461**.

სახელმწიფო შესყიდვების მოცულობამ 2016 წლის **სახელმწიფო ბიუჯეტის** დაახლოებით **38.9%**, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის (**GDP**) დაახლოებით **12%** შეადგინა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - საჯარო ფინანსების მართვის და ანტიკორუფციული რეფორმების შემადგენელი ინსტიტუციური რგოლია

სახელმწიფო შესყიდვების მოცულობა 2016 წელს



ჯამში:
4,018,097,958 ლარი

- ელექტრონული შესყიდვები
- გამარტივებული შესყიდვები

ელექტრონული შესყიდვები	2 532 805 944	**63,03%**
გამარტივებული შესყიდვები	1 485 292 014	**36,97%**

2016 წელს სისტემაში **გამოცხადებული ტენდერების რაოდენობამ შეადგინა: 38,054**

ჩატარებული ტენდერების ჯამური სავარაუდო ღირებულება	2 550 507 717
ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება	2 272 072 677
ეკონომია	**278 435 040**
ეკონომია პროცენტებში	**10,9%**

სისტემის საშუალებით წლის განმავლობაში **დაზოგილი თანხის მოცულობაა 278,435,040 ლარი.**

2016 წელს ჯამურად **საბოლოო სტატუსი მიენიჭა 38 072 ტენდერს.** მათგან:

საბოლოო სტატუსები



- ხელშეკრულება დადებულია
- დასრულებულია უარყოფითი შედეგით
- არ შედგა
- შეწყვეტილია

ჯამში: 38 072 ტენდერი

ხელშეკრულება დადებულია	27 768	**72,94%**
უარყოფითი შედეგით დასრულებული ტენდერები (დასრულდა უარყოფითი შედეგით, არ შედგა, შეწყდა)	10 304	**27,06%**
დასრულებულია უაარყოფითი შედეგით	2 023	**5,31%**
არ შედგა	6 862	**18,02%**
შეწყვეტილია	1 419	**3,73%**

საშუალო მონაწილეობა ხელშეკრულება დადებულია **ტენდერებში 2016 წელს იყო 2.14,** ხოლო იგივე მაჩვენებელი 2015 წელს წარმოადგენდა 2,02-ს. ეს კი იმას ნიშნავს რომ წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით **საშუალო მონაწილეობა გაიზარდა დაახლოებით 6%-ით.**

რეფორმები კანონშემოქმედებით საქმიანობაში, ცვლილებები რეგულაციებსა და პროცედურებში

სახელმწიფო შესყიდვების დარგში კანონმდებლობის შესაბამისი რეგულაციებისა და პროცედურების ცვლილებები

- ცვლილება შევიდა ტენდერის ჩატარების წესში, რის შედეგადაც, **დაინერგა** გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული **ტენდერის ჩატარების ახალი** *პროცედურა — „ტენდერის გამოცხადებას ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე“ (ანუ „ტენდერი აუქციონის გარეშე“);*
- გამოიცა *“ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი”* — მისი მიზანია ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ორ ეტაპად — ხარისხისა და ფასის გათვალისწინებით (MEAT მეთოდის გამოყენებით), საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტის გამოვლენა მასთან ხელშეკრულების დადების მიზნით;
- დაინერგა ტენდერის **ჩატარების ახალი პროცედურა** — *“სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად გამოცხადებული ტენდერის ჩატარების განსხვავებული წესი”*;
- დამტკიცდა **თეთრი სიის წარმოების ახალი წესი** და პირობები — ცვლილების მთავარი არსი იყო, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის გამარტივებულიყო თეთრ სიაში რეგისტრაცია. ამ მიზნის მისაღწევად, დაწესდა, რომ თეთრ სიაში დასარეგისტრირებლად აღარ არის საჭირო მაინც-დამაინც ბრუნვის ქონა, არამედ ალტერნატივის სახით კვალიფიციურ მიმწოდებლად გახდომა შესაძლებელია ჯეროვნად შესრულებული ხელშეკრულებებითაც;
- ცვლილება შევიდა ტენდერის ჩატარების წესში, რის შედეგადაც, ტენდერში ერთობლივად მონაწილეობის მიზნით, **ორ ან რამდენიმე მიმწოდებელს მიეცა შესაძლებლობა, გაერთიანდეს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით;**
- მიღებულ იქნა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ **სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხისა და შესყიდვების განხორციელების წესის** დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის №321 დადგენილება;
- ცვლილება შევიდა ტენდერის ჩატარების წესში, რის შედეგადაცდაიხვეწა კითხვა-პასუხის მოდულის გამოყენებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები, მათ შორის, **მიმწოდებელი ვალდებულია, კითხვა დასვას სატენდერო პირობების კონკრეტულ ჩანაწერთან დაკავშირებით, ხოლო შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, არაორაზროვნად გასცეს მიმწოდებელს პასუხი კითხვის დასმიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;**
- ცვლილება შევიდა **სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესში** — დაინერგა საჩივრის ახალი ფორმა, შესყიდვის პროცედურების შეჩერების პროცესი ავტომატიზებული გახდა.
- 2016 წელს **შავ სიაში დარეგისტრირდა 331 მიმწოდებელი, გაფრთხილება მიეცა 282 მიმწოდებელს, ხოლო შემსყიდველ ორგანიზაციებს უარი ეთქვათ 46 მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე.** ამავე პერიოდში **თეთრ სიაში დარეგისტრირდა 71 მიმწოდებელი, ხოლო თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა გაუგრძელდა 24 მიმწოდებელს.**

რეაგირება სამართალდარღვევებზე და სასამართლოში წარმოებული პროცესები

სააგენტოს მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში 2016 წელს **შედგენილი იქნა 98 სამართალდარღვევის ოქმი**, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაგზავნილი იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. 2016 წელს სასამართლოში გაგზავნილი საქმეების შემთხვევაში, სასამართლოს მიერ არ იქნა გამოყენებული საჯარიმო სანქცია არც ერთი სამართალდამრღვევი პირის მიმართ. ყველა სამართალდამრღვევი პირის მიმართ სასამართლო შემოიფარგლა სიტყვიერი შენიშვნით. 2016 წელს სამართალდარღვევის ოქმის შინაარსიდან გამომდინარე **შედგენილი იქნა 238 პირის მიმართ შესაბამისი ოქმი**.

შედგენილი სამართალდარღვევის შემთხვევაში **98 საქმის მიხედვით ყველა პროცესი მოგებულია**, ამ ეტაპზე განხილვის ეტაპზეა 11 სამართალდარღვევის ოქმი, რომლებზეც სასამართლოში დასრულებულია საქმის განხილვა.

სააგენტოს მიერ წარდგენილი იქნა სამოქალაქო საქმეზე სარჩელები, რაც გულისმოხბს ტენდერში შესაბამისი თანხების პრეტენდენტთათვის არასათანადო დაბრუნებას, რომელიც მიმართული უნდა იქნას ბიუჯეტში, მსგავსი საქმეები სასამართლოში არ წარმოებულა. ასევე, სამოქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება სააგენტოსთვის თანხის აკრძალვის მოთხოვნით (მსგავსი პრაქტიკაში არ ყოფილა).

სასამართლომ რიგ შემთხვევებში სააგენტო თავად ჩართო მესამე პირად, ასევე საქმის სირთულიდან გამომდინარე მოწვეული იქნა ექსპერტი და მოწმე გარვეული ფაქტების დასადასტურებლად.

ჩატარებული პროცესების რაოდენობამ შეადგინა **610 სასამართლო სხდომა**. სასამართლო სხდომების რაოდენობა გაზრდილია წინა წლებთან შედარებით, შესაბამისად დღის განმავლობაში ინიშნებოდა 4-დან 6 სასამართლო სხდომამდე; წინა წლებთან შედარებით **60%-ით გაზრდილია სასამართლო პროცესების რაოდენობა**.

2016 წლის განმავლობაში **შავ სიასთან დაკავშირებით გასაჩივრებული იქნა 76 საქმე**, ხოლო **დავების გადაწყვეტილება - 36**, ამასთან 2016 წელს იხილებოდა 2015 წლის 19 საბჭოს გადაწვეტილება. ჯამში **2016 წლის საქმეების რაოდენობაა 215 საქმე**.

აღნიშნულ საქმეებს ემატებოდა 2014 და 2015 წლის საქმეები, რომლებიც იხილებოდა 2016 წელს, ჯამში - 259 საქმე, რაც აღემატება ბოლო 5 წლის განმავლობაში არსებულ საქმეებს.

2016 წლის განმავლობაში წარდგენილი იქნა **61 კერძო საჩივარი**, რომელიც ეხებოდა შავი სიის საკითხს, სასამართლოს მიერ სააგენტოს აქტის დროებით შეჩერების თაობაზე. სასამართლომ უმეტეს შემთხვევაში დააკმაყოფილა კერძო საჩივარი და განსახილველად დაუბრუნა პირველ ინსტანციას. შავი სიის აქტის შეჩერების ნაწილში კერძო საჩივრის მეშვეობით სასამართლო აქტის შეჩერების დროს ხელმძღვანელობს სწორი პრაქტიკით, კერძოდ მიიჩნევს, რომ სააგენტოს აქტი აღსრულებულია. ამ ეტაპზე სასამართლოში განხილვის პროცესშია 15 კერძო საჩივარი, რომელზეც სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია.სააგენტოს კერძო საჩივარი დაკმაყოფილებული იქნა 15 შემთხვევაში, რომელთა ხელახლა განხილვის შედეგად სასამართლომ უარი თქვა უზრუნველყოფის ღონისძიებაზე, შესაბამისად მოსარჩელემ გაიხმო სარჩელი.

დავების სამართლიანი და სწრაფი განხილვა

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო განიხილავს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავებს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვალის №1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის“ მიხედვით, სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს ან პრეტენდენტს შეუძლია, ამ წესის შესაბამისად, გაასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება საბჭოში, თუ მიაჩნია, რომ დაირღვა კანონით ან/და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები ან/და შეილახა მისი უფლებები.

2016 წელს დავების განხილვის საბჭოში შემოვიდა 1572 საჩივარი, რომელთაგან:

დაკმაყოფილდა	281 საჩივარი
არ დაკმაყოფილდა	547 საჩივარი
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	305 საჩივარი
დაუშვებლად მიჩნეული	397 საჩივარი
საჩივარი გაუქმებულია	42 საჩივარი



რაოდენობა	**281**	**547**	**305**	**397**	**42**

საბჭომ **გადაწყვეტილება მიიღო 1133 საჩივართან** დაკავშირებით (გამოკლებულია საჩივრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სტატუსი - „საჩივარი გაუქმებულია“, „დაუშვებლად მიჩნეული“. თუმცა, **საბჭოს აპარატის მიერ განხილული იქნა ყველა 1572 საჩივრის** დასაშვებობის საკითხი).

აღსანიშნავია, რომ:

- 2016 წლის განმავლობაში დავების საბჭოში გასაჩივრდა 6 კონკურსი (CNT პროცედურა);
- 2016 წლის 01 ივლისიდან ცხადდება ტენდერები ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე („ტენდერი აუქციონის გარეშე“ - NAT პროცედურა). 2016 წელს დავების საბჭოში გასაჩივრდა აუქციონის გარეშე გამოცხადებული 193 გამარტივებული ელექტრონული/ელექტრონული ტენდერი;

2016 წლის 01 დეკემბრიდან ცხადდება ტენდერები სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად (DAP პროცედურა). 2016 წლის 01 დეკემბრიდან ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით დავების საბჭოში გასაჩივრდა 2 (ორი) სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.

2016 წლის განმავლობაში „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესში“ სამჯერ იქნა შეტანილი გარკვეული ცვლილებები[1]. შეტანილი ცვლილების მიხედვით ახლებურად ჩამოყალიბდა საბჭოში გასაჩივრების ვადები, განისაზღვრა საჩივრის დაუშვებლობის საფუძვლები, ასევე აღინიშნა, რომ საჩივრის დასაშვებად ცნობისთანავე შესყიდვის პროცედურები ჩერდება როგორც შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, ასევე პრეტენდენტ(ებ)ისთვისაც.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 30 დეკემბრის 17 ბრძანებით შეტანილი ცვლილებიდან (ამოქმედდება 2017 წლის 16 იანვრიდან) აღსანიშნავია, რომ საჩივრის დასაშვებად მიჩნევის შემთხვევაში შესაბამისი შესყიდვის პროცედურები შეჩერდება სისტემურად (ეკროცურემენტ სისტემის მეშვეობით). ასევე, მხარეებს (მომჩივანი, მოპასუხე) და დაინტერესებულ პირებს (არსებობის შემთხვევაში) საბჭოს სხდომაზე მოწვევის შესახებ შეტყობინებები გაეგზავნებათ №1 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად[2]. შემუშავებული იქნა საჩივრის ახალი ელექტრონული ფორმა და მისი შევსების ინსტრუქცია, რომელიც ერთვის ზემოხსენებულ ბრძანებას და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში შემოსული საჩივრების სტატისტიკა წლების მიხედვით:

[1] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 11 იანვრის №1 ბრძანება;
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 ოქტომბრის №12 ბრძანება;
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 30 დეკემბრის №17 ბრძანება;

[2] წესის ფარგლებში ნებისმიერი ინფორმაციის მიღება/გაგზავნა შესაძლებელია განხორციელდეს მართვის ავტომატური საშუალებებით, ვებგვერდის https://tenders.procurement.gov.ge/dispute ან/და კომუნიკაციის სხვა თანამედროვე საშულებებით (ელექტრონულიფოსტა, ტელეფონი, მოკლე ტექსტური შეტყობინება).

კარდინალური რეფორმა გამარტივებული შესყიდვების სფეროში

ევროკავშირთან ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ანტიკორუფციული კომპონენტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 24 ივლისს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტი „სახელწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ეს კანონი, რომელიც **ამოქმედდა 2015 წლის 01 ნოემბრიდან, ადგენს ცალკეული საფუძვლებით (*გადაუდებელი აუცილებლობა, ექსკლუზიური უფლებამოსილება, ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება*), გამარტივებული შესყიდვების განხორციელების სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან სავალდებულო შეთანხმების მარეგულირებელ ნორმებს.**

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გამოწვევების საპასუხოდ, 2016 წელს მიმდინარეობდა კომპლექსური რეფორმები

საგულისხმოა, რომ გამარტივებული შესყიდვების კანონით დადგენილი ზემოაღნიშნული ლეგალური საფუძვლებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში მეტი გამჭირვალობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ **სისტემაში eProcurement სპეციალურად ამ მიზნით შეიქმნა ახალი ელექტრონული პლატფორმა (SMP მოდული)**. მოდული საჯაროა და ყველა დაინტერესებულ პირს აძლევს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობას. ხაზგასასმელია, რომ სააგენტო გადაწყვეტილების მიღებისას შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვასთან ერთად განიხილავს დაინტერესებული პირების მიერ მასთან დაკავშირებით გამოხატულ მოსაზრებებს.ამასთან, ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სასამართლოში გაასაჩივროს სააგენტოს გადაწყვეტილება.

კანონით დადგენილ მოთხოვნათა შესასრულებლად, 2015 წლის 17 აგვისტოს გამოიცა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული ბრძანებით დეტალურად **განისაზღვრა გამარტივებული შესყიდვების კონკრეტული საფუძვლებითშესყიდვების განხორციელების მარეგლამენტირებელი ნორმები, შემუშავებული იქნა შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის განკუთვნილი სპეციალური კითხვარი**, რომლის საშუალებით სახელმწიფო უწყებების უფლებამოსილ თანამდებობის პირთა მხრიდან პრაქტიკულად გამოირიცხა სუბიექტური მიდგომები გამარტივებული შესყიდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

2015 წლის 01 ნოემბრიდან (სააგენტოსათვის სათანადო უფლებამოსილების დაკისრების მომენტიდან) 2016 წლის 01 ნოემბრის ჩათვლით **სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 4356 მომართვა.** წარმოდგენილი მომართვებიდან **ყველაზე დიდი ნაწილი შეიცავდა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით შესყიდვის განხორციელების მოთხოვნას** - საერთო ჯამში 2722.გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, მოცემული საფუძვლით შესყიდვის განხორციელება **შემცირებულია 61%-ით**.

ამასთან, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით გამარტივებული შესყიდვის განსახორციელებლად,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის საფუძველზე საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემულ იქნა 263 განკარგულება გამარტივებული შესყიდვის განხორციელების თაობაზე, რაც

29%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (გასულ წელს იმავე პერიოდში აღნიშნულ საკითხზე გამოიცა საქართველოს მთავრობის 364 განკარგულება).

გარდა ამისა, მიმდინარე წელს **ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით შესყიდვის განხორციელებაზე უარი ეთქვა 24%-ს**, ხოლო ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხოციელებაზე არ დაკმაყოფილდა შემსყიდველი ორგანიზაციების საერთო მომართვების 47%.

სააგენტოსთან შესათანხმებელი გამარტივებული შესყიდვების ჯამური პროცენტული ოდენობა წინა წელთან შედარებით შემცირებულია დაახლოებით 35%-ით.

2016 წლის 15 ნოემბრიდან ამოქმედდა „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებაში შეტანილი ცვლილებები, რომელიც ავალდებულებს შემსყიდველ ორგანიზაციასსააგენტოსთან ასევე შეათანხმოს გამარტივებული შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილებისშეტანა, რაც გულისხმობს ხელშეკრულების ვადის, ღირებულების, შესყიდვის ობიექტის კატეგორის, მოცულობისჰრაოდენობის შეთანხმების აუცილებლობას.

2015 წლის 01 ნოემბრიდან 2016 წლის 01 ნოემბრამდე შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სააგენტოში მომართვისა და სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკური მაჩვენებლებია:

შესყიდვის საფუძველი	რაოდენობა	უარყოფა	თანხმობა	განუხილველი	გახმობილი
გადაუდებელი აუცილებლობა	2722	169	2024	150	379
ექსკლუზივი	1030	64	782	48	136
ხარისხის გაუარესება	137	20	72	7	38
ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება	466	62	277	9	118
	სულ 4356				

შესყიდვის საფუძველი	გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა 2014-2015 წწ	გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა 2015-2016 წწ	კლების პროცენტული მაჩვენებელი
გადაუდებელი აუცილებლობა	7690	3018	61%

შესყიდვის საფუძველი	გამარტივებული შესყიდვის შესახებ გამოცემული განკარგულება 2014-2015 წწ	გამარტივებული შესყიდვის შესახებ გამოცემული განკარგულება 2015-2016 წწ	კლების პროცენტული მაჩვენებელი
ღონისძიების შეზღუდულ ვადაში შეუფერხებლად ჩატარება	364	263	29%

სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანი მონიტორინგი

სააგენტოს მონიტორინგის დეპარტამენტი **ახორციელებს მონიტორინგს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების** მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის კუთხით. აღნიშნული **მონიტორინგი მოიცავს ათასობით შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშებს**.

2016 წელს **შემუშავდა ავტომატური შეტყობინებების სისტემა** შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში სარისკო ქმედებებთან მიმართებაში, რაც მონიტორინგის დეპარტამენტს შესაძლებლობას აძლევს ტენდერების მსგავსად უკვე გამარტივებულ შესყიდვებზეც, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ყველა არამართლზომიერი ქმედებების გამოვლენის ფაქტები.

2016 წელს **დამუშავდა** აღნიშნული ავტომატური შეტყობინებების სისტემის მეშვეობით გამოფილტრული **15000-მდე ტენდერი**, ხოლო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული **180000-მდე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება**.

გამოვლენილ დარღვევებზე შემსყიდველ ორგანიზაციებს გაეგზავნათ 2000-ზე მეტი წერილი (ხშირ შემთხვევაში ერთი წერილი აერთიანებს კონკრეტული შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ რამდენიმე შესყიდვას), რომელთა მიმართებაშიც სააგენტო ძირითადად შემოიფარგლა რეკომენდაციით.



სააგენტოს გააჩნია უფლებამოსილება, რომ გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ შეადგინოს სამართალდარღვევის ოქმი და გადააგზავნოს სასამართლოში შემდგომი რეაგირებისთვის. 2016 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მხრიდან მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი **სამართალდარღვევის 98 შემთხვევა გადაიგზავნა სასამართლოში**.

სიახლეები და ინოვაციები ელექტრონული სერვისების განვითარებაში

სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი ახორციელებდა **სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის eProcurement** გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას და მის **შემდგომ განვითარებას, ახალი ფუნქციებისა და მოდულების შემუშავება-დანერგვას**:

- დაპროექტდა, შეიქმნა, გაიტესტა და გაეშვა **შესყიდვის ახალი ელექტრონული პროცედურები**: (I) „სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად გამოცხადებული ტენდერის ჩატარება განსხვავებული წესით"; (II) „ტენდერის გამოცხადება „ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე"; (III) „ორეტაპიანი ტენდერი".
- შეიქმნა და დაინერგა **მონიტორინგის ავტომატური შეტყობინებების სისტემა** კონკურსების, გეგმებისა და გამარტივებული ხელშეკრულებების მონიტორინგის სამმართველოს ბიზნეს პროცესებისათვის.
- შემუშავდა და დაინერგა **ახალი ელექტრონული სერვისი შემოსავლების სამსახურთან**, რომელიც საშუალებას იძლევა მათთან დარეგისტრირებული სუბიექტების მონაცემების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ავტომატურად ასახვის საშუალებას.

დეპარტამენტი წარმატებით აგრძელებდა სააგენტოში **თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვას და მათი გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობას**:

- შეიქმნა და გაეშვა შესყიდვის ობიექტებისა და მიმწოდებლების **ელექტრონული კატალოგი - eMarket ვებგვერდი**, რომელიც განთავსდა **http://emarket.spa.ge/** მისამართზე.
- **კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის სისტემას** დაემატა ახალი ფუნქციები, შეიქმნა ახალი გამოკითხვის მოდულები, გაუმჯობესდა კითხვარების ფუნქციონალი, დაემატა ნებართვების გაცემის მოდული, გაუმჯობესდა სისტემის უსაფრთხოება და ამუშავდა სტატისტიკის მოდული.
- შეიქმნა **ინცინდენტების აღრიცხვის ახალი პროგრამული უზრუნველყოფა**.

- სასწავლო ცენტრში მსმენელთა 16 ნაკადისათვის უზრუნველყოფილ იქნა **პრე და პოსტ-ტესტის ჩატარება** და სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობა.
- სასწავლო ცენტრის პროგრამულ უზრუნველყოფაში დაინერგა მომხმარებლის შთაბეჭდილებების მოდული. განახლდა დიზაინი, გაუმჯობესდა ანკეტის მოდული, გაუმჯობესდა და განახლდა ტესტირების მოდული.

დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან, ჩატარდა სამუშო შეხვედრები მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან, შემოსავლების სამსახურთან, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, ასევე მსოფლიო ბანკთან, ADB, EBRD, GIZ, PRAXIS და EPRC-ს უცხოელ წარმომადგენლებთან.

ახალი ელექტრონული სერვისების შექმნა და დანერგვა

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

საქართველოსა და ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგით გათვალისწინებული ცვლილებები

საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით, 2016 წელი გამორჩეულად აქტიური იყო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის. ამ მხრივ აღსანიშნავია რამოდენიმე მნიშვნელოვანი მიღწევა.

2016 წელს დასრულდა თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებები ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA), რომელსაც ხელი მოეწერა 2016 წლის 27 ივნისს, შვეიცარიის ქალაქ ბერნში გამართულ მინისტერიალზე. შეთანხმების მიხედვით, ქართული კომპანიებისთვის ევროპის კიდევ ოთხი ქვეყნის (შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია და ლიხტენშტეინი) საჯარო შესყიდვების მრავალმილიარდიან ბაზარზე შეღწევადობა გახდება შესაძლებელი.

ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შეიმუშავა ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოების ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა, რომელიც წარედგინა საქართველოს მთავრობას განსახილველად. შედეგად, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 31 მარტის №536 განკარგულებით დამტკიცდა „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების

(DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი“. აღნიშნული გზამკვლევის საფუძველზე, 2016 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, შეიმუშავა კანონონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით შესაბამის ცვლილებეს. კანონპროექტი მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ და გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტს განსახილველად.

2016 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად იყო ჩართული „ღია მმართველობის პარტნიორობის" (OGP) 2016-2017 წლების მესამე სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მონაწილეობდა რეგიონალურ შეხვედრებში, რომლის მიზანი იყო „ღია მმართველობის პარტნიორობის“ 2016-2017 წლების მესამე სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა. 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2016 წლის ნოემბერში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას დონორ ორგანიზაციებთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) G4G პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა ფართომასშტაბიანი კვლევა/გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო სახელმწიფო შესყიდვებში კერძო სექტორის დაბალი მონაწილეობის დადგენა. კვლევამ ნათლად აჩვენა ის სუსტი მხარეები, რომელიც განაპირობებს დაბალ კონკურენციას სახელმწიფო შესყიდვებში. აღნიშნული კვლევის საფუძველზე, USAID, G4G პროგრამის მხრადაჭერით განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება, რომლის მიზანია სახელმწიფო შესყიდვებზე მოსახლეობისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება და ბიზნესს ორგანიზაციებთან კომუნიკაციის ინტენსიფიკაცია. ამჟამად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, საკომუნიკაციო სტრატეგიაზე დაყრდნობით ამზადებს მომავალი 2017 წლის აქტივობების გეგმას.

2016 წლის 23-24 მაისს, ქ თბილისში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, აშშ-ს კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP), აშშ-ს საელჩოს საქართველოში, EBRD-ის (ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი), WTO-ის (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის), ევროკავშირის, საქართველოს საგარეო საქმეთა

სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინსიტროს მხარდაჭერით, ორგანიზება გაუკეთა საერთაშორისო სემინარს თემაზე „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეთანხმების ვალდებულებები, მიერთების პროცესი და კომერციული სარგებელი საქართველოსთვის“. შეხვედრას ესწრებოდნენ ბიზნეს საზოგადოების და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანი იყო სახელმწიფო შესყიდვების შეთანხმების ძირითადი უპირატესობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული მხარეებისათვის. აღნიშნული სემინარი მნიშვნელოვანი იყო დაინტერესებული მხარეებისათვის GPA-ის შესახებ ინფორმაციის მიწოდების კუთხით.

2016 წლის ოქტომბერში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა აზიის განვითარების ბანკის კონსულტანტი ჯო ფაგანი. აღსანიშნავია, რომ აზიის განვითარების ბანკი დაინტერესდა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემით და ADB-ს ადგილობრივი პროექტების შესყიდვების, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ინტეგრაციის მიზნით, მოახდინა ერთიანი ელექტრონული სისტემის შესწავლა. კვლევაზე დაჟრდნობით აზიის განვითარების ბანკი აპირებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებას ადგილობრივი პროექტების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვებისათვის.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს გერმანიის საერთაშორისო თანამშომლობის საზოგადოებასთან (GIZ). აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, GIZ-ის მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა შესყიდვების შესახებ სრულიად ახალი კანონის შემუშავებაზე. ახალი კანონი სრულად ასახავს ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებს. ამ მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად თანამშრობლობს GIZ-ის კერძო და ადმინისტრაციული სამართლის პროექტთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში (GIZ)-ის საერთაშორისო კონსულტანტი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის სექტემბერსა და ნოემბერში. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია, რომ ახალი კანონის პირველი ვერსია 2017 წლის პირველ კვარტალში მომზადდება.

2016 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოების პროცესში, აქტიურად თანამშრომლობდა SIGMA-სთან. ამ კუთხით აღსანიშნავია SIGMA-ს მიერ ორგანიზებული სენიმარი, რომელიც გაიმართა 2016 წლის ნოემბერში. სემინარზე განხილულ იქნა შესყიდვების ახალი პროცედურების დანერგვის, აგრეთვე ევროდირექტივების ფარგლებში სხვა ვალდებულებების განხორციელების საკითხები.

2016 წლის 1-2 დეკემბერს ქ. ბრიუსელში, გაიმართა ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებით ასოცირების კომიტეტის შესვედრა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმოადგენლემბა წარადგინეს ასოციირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების 2016 წლის შესრულების ანგარიში. ასოცირების კომიტეტმა მოიწონა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პროგრესი და ხაზი გაუსვა კონცესიების დირექტივების ვალდებულების დაფიქსირებას სამოქმედო გეგმაში.

2016 წლის 14-17 სექტემბერს, ქ. პარიზში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ მონაწილეობა მიიღო OECD-ის ორგანიზებით გამართულ ანტიკორუფციული რეფორმების შეფასების მეოთხე რაუნდის შეხვედრაში, რომლის ფარგლებშიც მოხდა საერთაშორისო ანტიკორუფციული გამოცდილების გაზიარება და საქართველოს მიერ შესრულებული ვალდებულებების ანგარიშის წარდგენა. შეხვედრაზე შემუშავდა მომავალი წლების ანტიკორუფციული რეკომენდაციები.

სახელმწიფო შესყიდვებში დასაქმებული სპეციალისტების სწავლება და მათი პროფესიონალიზაცია

2014 წლის ოქტომბერში, სააგენტოში, საჯარო სექტორის უწყებების/ორგანიზაციების შესყიდვების სპეციალისტების გადამზადების მიზნით, შეიქმნა სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფი - **სასწავლო ცენტრი**. ცენტრის მიერ დასახული მიზნების მიღწევა ხორციელდება სასერთიფიკატო და ტრენინგ-პროგრამების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების, კადრების პროფესიული უნარების გაუმჯობესების, სტაჟირების პროგრამებში ჩართვისა და შემდგომი დასაქმების ხელშეწყობის გზით.სასწავლო ცენტრის ძირითადი სასწავლო კურსის სახელწოდებაა - **„სახელმწიფო შესყიდვების კურსი"** (40 სთ.). კურსს წარმართავენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დასაქმებული პროფესიონალი პრაქტიკოსები, მაღალკვალიფიციური ექსპერტები.

სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტების პროფესიონალიზაცია და სწავლება

სასწავლო ცენტრი, დაარსების დღიდან დღემდე, აქტიურად თანამშრომლობს უცხოურ თუ ადგილობრივ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მათ, როგორც დონორებმა და პარტნიორებმა, დიდი წვლილი შეიტანეს ერთობლივი ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზებაში.

სააგენტოს IT-სპეციალისტების მიერ, საგანგებოდ სასწავლო ცენტრისათვის, შეიქმნა და პერმანენტულად ვითარდება **პრე და პოსტ-ტესტირების უნიკალური კომპიუტერული პროგრამა**, რომელიც საშუალებას იძლევა, ობიექტურად შეფასდეს ტრენინგის მსმენელთა ცოდნის დონე, როგორც სასწავლო კურსის დაწყების წინ, ისე ტრენინგის დასასრულს, სერტიფიკატების გაცემამდე.

2014-2016 წლებში, სასწავლო ცენტრში ჩატარდა ტრენინგების (25) და სემინარების (14)39 ნაკადი, რომელშიც მონაწილეობდნენ მსმენელები საქართველოს ყველა რეგიონიდან. ნაკადებში წარმოდგენილი იყვნენ სახელმწიფო უწყებების, მათზე დაქვემდებარებული სსიპ-ებისა და შპს-ების შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტები; 71 მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი ქალაქების მერიების, გამგეობებისა და საკრებულოების მოსამსახურეები; მუნიციპალიტეტების ორგანოების მიერ დაფუძნებული და მათ მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (ააიპ-ების, შპს-ებისა და სხვ.) შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტები; საქართველოს რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორები, მუნიციპალიტეტების გამგებლები, საკრებულოების თავმჯდომარეები, ბიზნეს-ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვ.

2014 წლიდან დღემდე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში **გადამზადებული და სერტიფიცირებულია 1530 შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტი**. მათ შორის: 669 მსმენელი სახელმწიფო უწყებების, 806 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტი, ხოლო 55 ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელი. დამატებით, სემინარებსა და სხვა ტიპის საინფორმაციო-შემეცნებით შეხვედრებზე მოწვეული მსმენელები, სულ 320 (სამასოცი) მსმენელი. **ჯამში 1850 (ათასრვაასორმოცდაათი) მსმენელი.**

2014-2016 წლებში გადამზადებულ მსმენელთა რაოდენობის მზარდი დინამიკა გამოსახულია ინფოგრაფიკაზე:



2014-2016 წლებში გადამზადებულ მსმენელთა რაოდენობის მზარდი დინამიკა და სამომავლო გეგმები.

2017 წელს, ძირითადი სასწავლო კურსის ფარგლებში, დაგეგმილია 1140 მსმენელის გადამზადება და სხვადასხვა საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრების ორგანიზება.

ადამიანური კაპიტალის განვითარება

ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის წარმართვა

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიციის მქონე კადრებით, მათ შორის **50%-ზე მეტი ფლობს მაგისტრის ხარისხს**, ხოლო **6 თანამშრომელს აქვს დოქტორის ხარისხი**. სააგენტოში შედის 4 დეპარტამენტი, 7 სამმართველო, 4 სამსახური და 1 სასწავლო ცენტრი.

2016 წელს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გამოცხადდა და ჩატარდა კონკურსი 9 ვაკანსიაზე. სულ განაცხადი შემოიტანა 1087-მა კანდიდატმა. სულ მიღებული იქნა 8 თანამშრომელი, აქედან ქალი-4, მამაკაცი - 4.

საერთაშორისო ორგანიზაცია GIZ-თან თანამშრომლობის შედეგად, რომლის მიზანია გერმანიაში განათლება მიღებული საქართველოს მოქალაქეების საქართველოში დასაქმება, სააგენტოში დასაქმებულია 2 ექსპერტი, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ ანალიტიკურ საქმიანობას.

სააგენტოს თანამშრომლების პროფესიული განვითარების მიზნით, ხელმძღვანელებთან და დეპარტამენტის უფროსებთან ერთად **მოხდა არსებული თანამშრომლებისთვის ტრენინგების საჭიროებების განსაზღვრა**. ტრენინგების განხორციელების და დაფინანსების მიზნით, გრძელდება აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობის შედეგად, დეპარტამენტის უფროსებთან ერთად მოხდა **ყველა თანამდებობაზე სამუშაოს ანალიზის კითხვარის შედგენა**, რომლებიც გამოყენებული იქნება განახლებული სამუშაოს აღწერილობების შესაქმნელად.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში პროცენტული გადანაწილება გენდერული ბალანსის მიხედვით:

მთლიანად სააგენტოში: სულ: 87 (ქალი - 47%, მამაკაცი - 53%)
ხელმძღვანელ თანამდებობაზე: სულ: 19 (ქალი - 30%, მამაკაცი - 70%)
შტატში აყვანილი სულ: 68 (ქალი - 50%, მამაკაცი - 50%)
ხელშეკრულებით აყვანილი: სულ: 19 (ქალი - 37%, მამაკაცი - 63%)
სტაჟიორი: სულ: 2 (ქალი - 50%, მამაკაცი - 50%)

სისტემის მომხმარებლთა მომსახურების გაუმჯობესება

2016 წელს სააგენტო აქტიურად აწარმოებდა **მიზნობრივი ჯგუფების ინფორმირებას შესყიდვების სისტემის შესახებ როგორც საკანონმდებლო, ასევე ინსტიტუციური და შესყიდვების ელექტრონული სისტემის გამოყენების კუთხით.**

ყოველივე ზემოაღნიშნულზე მიუთითებს როგორც ცხელ ხაზზე შემოსული ზარების ასევე კანცელარიის მიერ განხორციელებული დოკუმენტბრუნვის შინაარსობრივი სტატისტიკა.

2015 წელს ცხელ ხაზზე შემოვიდა 18067 ზარი, აქედან:

ტექნიკური პარამეტრები/სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული კითხვები - **8323 (46,1%);**
საბანკო მომსახურეობასთან დაკავშირებული საკითხები - **1990 (11%);**
კანონმდებლობასთან დაკავშირებული კითხვები - **6027 (33,4%);**
დავებთან/დავების საბჭოსთან დაკავშირებული კითხვები - **870(4,8%);**
სხვა (კითხვები, რომელიც არ ხვდება ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში) - **857 (4,7%)**

2016 წელს ცხელ ხაზზე შემოვიდა 19720 ზარი, აქედან:

ტექნიკური პარამეტრები/სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული კითხვები - **7686(39%);**
საბანკო მომსახურეობასთან დაკავშირებული საკითხები - **1968 (10%);**
კანონმდებლობასთან დაკავშირებული კითხვები - **7605 (38.6%);**
დავებთან/დავების საბჭოსთან დაკავშირებული კითხვები - **1017(5.2%);**
სხვა (კითხვები, რომელიც არ ხვდება ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში) - **1444 (7.3%)**

ზემოთ მოყვანილი ციფრები ცხადყოფს, რომ 2016 წელს 2015 წელთან შედარებით მკვეთრად, **1653 ერთეულით (9.2%) არის გაზრდილი ცხელ ხაზზე შემოსული ზარები**. ზარების მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ იშვიათი, ერთეული, გამონაკლისების გარდა, ერთი და იგივე საკითხზე ერთი და იგივე მომხმარებელი ორჯერ და მეტჯერ არ რეკავს. აღნიშნული მიუთითებს, რომ ცხელი ხაზის თანამშრომლები მომხმარებელს აწვდიან ამომწურავ ინფორმაციას/განმარტებას.

ამასთან, 2015 წელს ჯამში ცხელ ხაზზე შემოვიდა 18067 ზარი, **2016 წელს კი 19720 ზარი** (ჯამში 37787 ზარი), ხოლო სასწავლო ცენტრის მიერ 2015-2016 წწ. გადამზადებულია 1669 შესყიდვებში დასაქმებული პირი (2015წ. - 549 პირი, ხოლო 2016წ. - 1120 პირი). აღნიშნულს ემატება საჯარო მოხელეებისთვის ჩატარებული სამუშაო შეხვედრები ასო-

ბით ადამიანი. ემატება ასევე, ცხელი ხაზის გვერდის ავლით პირდაპირ დეპარტამენტის თანამშრომლებთან მობილურზე განხორციელებული ზარები კონსულტაციის მიზნით, რაც დაახლოებით ასობით ერთეულს შეადგენს.

სააგენტომ დახმარება აღმოუჩინა eProcurement სისტემაში დარეგისტრირებულ ყოველ მესამე პირს.

სააგენტოს აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობაზე მიუთითებს წლიური დოკუმენტბრუნვის შინაარსობრივი სტატისტიკა; სააგენტოში დანერგილია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.

2016 წელს სააგენტოს კანცელარიაში შემოსული წერილების შინაარსობრივი სტატისტიკა

სახეობა	რაოდენობა	%
შემოსული კორესპონდენცია სულ	**11 839**	**100**
ტენდერის კონკურსის შეწყვეტის შესახებ	136	1.148746
განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ	26	0.219613
დამატებითი ინფორმაცია დავასთან დაკავშირებით	710	5.997128
მინდობილობა	1588	13.4133
მომართვა გადაუდებელი შესყიდვის შესახებ	568	4.797703
მომართვა/განცხადება/საჩივარი	97	0.819326
საგამოძიებო ორგანოდან	4	0.033787
სამინისტროებიდან	36	0.30408
სასამართლოებიდან	797	6.731987
საქართველოს მთავრობიდან	34	0.287186
საქართველოს პარლამენტიდან	3	0.02534
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან	1	0.008447
სისტემაში ჩანაწერის/ცვლილების შეტანის შესახებ	889	7.50908
სხვადასხვა	3143	26.54785
შეტყობინება მრავალწლიანი შესყიდვის შესახებ	249	2.103218
წერილის პასუხად	2393	20.21286
„თეთრი სიის“ შესახებ მომართვა	193	1.630205
„შავი სიის“ შესახებ წერილობითი შეტყობინება	972	8.210153

სააგენტოს მიზანია კიდევ უფრო გამჭვირვალე, დახვეწილი და მოქნილი სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შექმნა. შესაბამისად, სააგენტო ყოველდღიურ რეჟიმში მუდმივად განაგრძობს როგორც სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შემდგომი სრულყოფის, ასევე, ადმინისტრაციული დახვეწის კუთხით მუშაობას და შესაბამისი რეფორმების განხორციელებას.

2016 წელს სააგენტოდან **გაგზავნილ იქნა 6020 წერილი**; info@spa.ge. ელ. ფოსტის მისამართზე **შემოვიდა და მსვლელობა მიეცა 6201 წერილს; გაიგზავნა 2166 წერილი; დაარქივდა 2486 წერილი; აღირიცხა** დავების განხილვის საბჭოს სხდომაზე მოსული **1211 სტუმარი**.

დიალოგი ბიზნესთან

სააგენტო უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დიალოგის წარმართვას ბიზნეს საზოგადოებასთან. ბიზნეს კომპანიების სათანადო აქტიურობას, მათ გააზრებულ და მომზადებულ სატენდერო წინადადებებს, თუნდაც მათ აქტიურობას დავების განხილვის პროცესში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში წარმატებულად ფუნქციონირებადი საჯარო შესყიდვების სფეროს ჩამოყალიბებაში. მნიშვნელოვანია როგორც ბიზნეს წრეების წარმომადგენელთა ყურადღებით მოსმენა, მათი პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ასევე მათთვის სიახლეებისა და ნოვაციების დროულად წარდგენა.

ამ კუთხით, მხოლოდ **2016 წელს ჩატარდა 20-ზე მეტი შეხვედრა ბიზნესის წარმომადგენლებთან**. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, ლევან რაზმაძის ინიციატივით, **შეხვედრები ბიზნეს საზოგადოების წარმომადგენლებთან რეგულარულად, თვეში ორჯერ ტარდება**. შეხვედრების მიზანია ბიზნეს საზოგადოების წარმომადგენლებმა უშუალოდ მიაწოდონ თავმჯდომარეს ინფორმაცია კონკრეტულ ტენდერებზე, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული, მათი აზრით პრობლემური საკითხებისა და შესყიდვების სფეროში არსებული შესაძლო ხარვეზების შესახებ. აგრეთვე, წარმოადგინონ საკუთარი ხედვები, მოსაზრებები და პრობლემის გადაჭრის წინადადებები. სააგენტო ამ წინადადებებს და მოსაზრებებს აანალიზებს და ახდენს მათზე ადეკვატურ რეაგირებას.

2016 წელს შეხვედრები გაიმართა: ფარმაცევტული, სოფლის მეურნეობის, კომპიუტერული, ტრანსპორტის, ავეჯის, კვების, მედიის, საინჟინრო, სამშენებლო, გასანათებელი მოწყობილობების, დასუფთავების, სასტუმროს, სადაზღვევო და საპენსიო, გამაგრილებელი და სავენტილაციო მოწყობილობებისა და სამედიცინო დარგის მიმწოდებლებთან.

გარდა ამისა, გაიმართა რამდენიმე რეგიონული და ბიზნეს ასოციაციების გაერთიანებული შეხვედრა სააგენტოს ხელმძღვანელობასთან. 2016 წლის ბოლოს კი ჩატარდა შემაჯამებელი შეხვედრა ბიზნესის წარმომადგენლებთან, სადაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან რაზმაძემ, სხვა კოლეგებთან ერთად, განხორციელებულ რეფორმებთან დაკავშირებით ანგარიში წარადგინა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. შეხვედრას მცირე და საშუალო საწარმოთა, ბიზნეს გაერთიანებათა და ასოციაციების წარმომადგენლები, ასევე სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

ამავე შეხვედრაზე „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ მიერ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს „ბიზნესის დიალოგი მთავრობასთან“ შეხვედრების ფორმატში აქტიური მონაწილეობისა და მხარდაჭერისთვის მადლობის სიგელი გადაეცა.

www.procurement.gov.ge

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

სააგენტოში მოქმედებს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი. სამუშაო დღეებსა და საათებში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე:

(032) 2 48 48 22

და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე მიიღოთ კომპეტენტური პასუხები და კონსულტაცია.


ეროვნული ბიბლიოთეკა
ცერნაკის შეს.
ბარცხენა სანაპირო
ბაბარაძეულის ქ.
ნავთლუღის ქ.
ნავთლუღის ქ.
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა